

## ოქმი N12-14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2019 წ. 17 ივლისი

ქ. ოზურგეთი

14<sup>00</sup> -16<sup>00</sup>საათი

**თავმჯდომარეობდნენ:** ლ.ბიგვავა, გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

**ესწრებოდნენ:** კომისიათა წევრები -გ.ჩავლეშვილი, ვლ.ჩავლეშვილი, ბ.დოლიძე, ტ.აროშიძე, ვლ.დლონტი, რ.სკამკოჩაიშვილი, მ.ჩხიკვიშვილი, ჯ.თავართქილაძე, დ.მდინარაძე, ნ.ორაგველიძე, ლ.ნინიძე, ლ.კილაძე, გ.თოიძე, ლ.მგელაძე, ქ.ვასაძე, ე.გორდელაძე, ლ.მგელაძე, ბ.თოიძე, ლ.საჯაია, ხ.ცერცვაძე, გ.მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

### დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი:** გ.კილაძე.

2. ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მდგომარეობის შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ.ბიგვავა

**თანამომხსენებელი:** რ.გოგიტაური

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების ინვენტარიზაციის შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ.ბიგვავა

4. სასაფლაოების მოვლა -პატრონობის მდგომარეობის შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ.ბიგვავა

**თანამომხსენებელი:** თ.ქუტიძე

5. ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე შუქნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ.ბიგვავა

6. კომისიაში შემოსული კორესპონდენციის შესახებ.

**მომხსენებელი:** ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა კომისიათა წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, აღნიშნა, რომ განსაკარგავი ქონება შეთანხმებულია მაჟორიტარ საკრებულოს წევრებთან და შეიძლება მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას. ამასთან, გადაწყვიტეს რომ თუ საკრებულოს სხდომამდე შემოვა დამატებითი შენიშვნა, მასზე იმსჯელებს და დასკვნას მოამზადებს კომისიის შესაბამისი სამუშაო ჯგუფი.

კომისიათა წევრებმა მოისმინეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა). ი.პ „პარკირების მართვის ცენტრი“-ს დირექტორის რ.გოგიტაურის ინფორმაცია „ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მდგომარეობის შესახებ“. კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჟამ ინფორმაციის მოსმენამდე განაცხადა, რომ პროექტმა კარგად იმუშავა, სერიოზული შედეგებია, გაიზარდა პარკირებით მოსარგებლეთა რაოდენობა, ბიუჯეტში შემოდის შემოსავლები, საერთო მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ ხარვეზებიც შეინიშნება-ესაა ოპერატორების არაჯეროვანი მუშაობა, კვლავაა სადგომზე მუდმივად მყოფი მანქანები და სხვა.

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს: კომისიის წევრ ლ.ნინიძემ დასვა შეკითხვა, -რატომ გახდა პრობლემა ოპერატორების შერჩევა და ხომ არაა აღრიცხული პარკირებული მანქანების პაოდენობა? გაეცა პასუხი, რომ არაჯეროვანი მუშაობისათვის გათავისუფლდა 18 ოპერატორი, ადგილი აქვს შემოსავლების დამალვას, კონკურსი არ ტარდება, მაგრამ შედარებით დაბალი ანაზღაურების გამო ჭირს კადრების შერჩევა. პარკირებული მანქანების ზუსტი აღრიცხვა არ უწარმოებიათ; კომისიის წევრ ხ.ცერცვაძეს აინტერესებდა-მოწესრიგდა თუ არა მოვაჭრეების მანქანების დგომის პრობლემა. უპასუხეს, რომ მოწესრიგებულია. კომისიის წევრმა ლ. საჯაიმ გამოთქვა აზრი, რომ საკადრო პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება ოპერატორების შრომის ანაზღაურების გაზრდით. კომისიის წევრი გ.ჩავლეშვილი დაინტერესდა-რამდენია ადმინისტრაციის ხარჯი თვეში-უპასუხეს დაახლოებით 4-ათასი ლარი. კომისიის წევრმა დ. მდინარაძემ იკითხა -ხელშეკრულებები იდება თუ არა ოპერატორებთან-მიიღო დადებითი პასუხი. კომისიის წევრ გ.მდინარაძის აზრით ოპერატორებს უნდა გაეზარდოს ხელფასი. კომისიის წევრმა ხ.ცერცვაძემ ითხოვა კვირას და საეკლესიო დღესასწაულის დღეებში შეღავათი გაწეულიყო მრევლისათვის. ჟურნალისტმა მ.ჩიხლაძემ მიმართა მომხსენებელს -18 ოპერატორი გაათავისუფლე- შენც რომ გაგათავისუფლოს ზემდგომმა? კომისიის წევრი გ.თოიძე დაინტერესდა-რატომ არ იძლევიან აბონიმენტებს. ინფორმაციის მოსმენა-განხილვის შედეგები შეაჯამა ლ.ბიგვაჟამ, რომელმაც განაცხადა, რომ ინფორმაცია კარგი იყო, მუშაობაც კარგია, მაგრამ ნაკლოვანებებიცაა-ჭანტურიას ქუჩაზე კვლავ შეინიშნება მუდმივად მდგომი მანქანები, ჩანს შესაძლებელია როგორც თანხის ამოღების, ასევე ოპერატორების ხელფასების გაზრდაც, არაა შემოღებული ე.წ. „წითელი ზონა“, რაც განმუხტავდა სიტუაციას გარევაჭრობის მხრივაც, არასაკმარისია ჯარიმებზე მუშაობა, მისასალმებელია, რომ ზრუნავენ საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. კომისია მოამზადებს დასკვნას და გადაუგზავნის მერიას, ინფორმაცია კი მიღებულ იქნება ცნობად.

მომხსენებელმა ლ.ბიგვაჟამ განაცხადა, რომ დღის წესრიგის მე-3-ე საკითხზე- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების ინვენტარიზაციის შესახებ“-მომხსენებელი მუნიციპალიტეტის მერიიდან არ გამოცხადდა.

კომისიათა წევრებმა მოისმინეს ა(ა).ი.პ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის დირექტორის თ.ქუტიძის ინფორმაცია „სასაფლაოების მოვლა - პატრონობის მდგომარეობის შესახებ“, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული 137 სასაფლაოდან დარეგისტრირებულია მხოლოდ 7, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დასარეგისტრირებლად, რომლის შემდეგაც გაირკვევა სად რა სამუშაოები იქნება განსახორციელებელი. მანამდე მხოლოდ დასუფთავების სამუშაოები სრულდება.

კომისიის წევრ ლ.მგელაძის აზრით კარგი იქნება თუ მერია ადადგენს ადრე არსებულ სასაფლაოების მომვლელთა შტატებს. ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მომხსენებელმა ლ.ბიგვაძამ კომისიათა წევრებს გააცნო შემოსული განცხადებები: საკრებულოს წევრ რ.სკამკოჩაიშვილის- სოფელ დვაბზუს ეკლესიის რეაბილიტაციის, ქ.ოზურგეთის დუმბაძის ქუჩის მცხოვრებთა-110 მეტრი გზის მოასფალტების ,შ.პ.ს. ფსიქიური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრის ოფისთან მისასვლელი 50 მეტრი გზის მოასფალტების თაობაზე. კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს ამ პრობლემების მოგვარებისათვის წერილობით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას.

კომისიათა წევრებმა ასევე განიხილეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე შუქნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ“ და მხარი დაუჭირეს მის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენას.

კომისიის წევრმა დ.მდინარაძემ გამოთქვა აზრი ყოფილი საავდემყოფოს ტერიტორიის შემოღობვის აუცილებლობის თაობაზე.

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :**

1.დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნა(თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“; „ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე შუქნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2.ინფორმაციები: „ქ.ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მდგომარეობის შესახებ“ და „სასაფლაოების მოვლა -პატრონობის მდგომარეობის შესახებ“მიღებულ იქნას ცნობად.

3.კომისიაში შემოსულ წერილებში დასმული პრობლემების მოგვარების მიზნით წერილობით ეცნობოს მუნიციპალიტეტს მერიას.

ლავრენტი ბიგვაძა



კომისიის თავმჯდომარე  
სივრცი-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე  
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია